პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 147 (3631)

1968 წ. 28 ივლისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

გილოცავთ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 24 ივლისის ბრძანებულებით, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა ფიზკულტურულ მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა 49 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 172, მედლით „შრომითი მამაცობისთვის“ — 135 და მედლით „შრომითი წარჩინებისთვის“ — 142.

დაჯილდოებულთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც არიან. აი, ისინი:

შრომის წითელი დროშის ორდენით

მ. გორგაძე — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბ. თავართქილაძე — საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,

ვ. ილურიძე — თბილისის „ბურევესტნიკის“ მწვრთნელი,

ა. ჩოგოვაძე — „დინამოს“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,

თ. ჩხაიძე — დოსაფის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ავტომოტოკლუბის უფროსი,

ე. ჯიბლაძე — თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის მკერავი.

მედლით „შრომითი მამაცობისთვის“

ა. ბაბრიაძე — ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი,

ბ. ბიბაური — ახმეტის საშუალო სკოლის ფიზიკურ ზრდის მასწავლებელი,

ზ. თელია — თბილისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი,

ა. კორინთელი — „სპარტაკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე,

ზ. საკანდელიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი,

ვ. სანეევი — სპორტის ოსტატი,

ვ. ხურცილავა — სპორტის ოსტატი.

მედლით „შრომითი წარჩინებისთვის“

ბ. კაპარაძე — თბილისის ტანვარჯიშული დარბაზის დირექტორი,

ქ. ტიგიევა — ცხინვალის სამედიცინო ტექნიკუმის ფიზიკურ ზრდის მასწავლებელი,

უ. ყორღანაშვილი — თბილისის საავიაციო სპორტკლუბის ინსტრუქტორი,

თ. ჩიტუნაშვილი — თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის მკერავი,

ო. ხარაძე — დოსაფის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მწვრთნელი.

ვიქტორ კლიმენკო — სამგზის ჩემპიონი

ქ. ნოზაძის ნადავლი

ბორკი, 27 ივლისი. ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატის ცალკეულ სახეობებში გათამაშებული ოქროს 6 მედლიდან გუშინ 3 დაისაკუთრა 19 წლის მოსკოველმა ვ. კლიმენკომ. იგი პირველი იყო თავისუფალ ვარჯიშში, ტაიტზე და ბჯენით ხტომებში.

ორძელზე ყველას აჯობა მოსკოველმა ს. დიომიდოვმა, ღერძზე — მოსკოველმა ვ. ილინხმა.

რგოლებზე ვარჯიშში I ადგილი გაიყვეს ვ. ლისიცკიმ (მოსკოვის ოლქი) და დიომიდოვმა.

ტექნიკური შედეგები

თავისუფალი ვარჯიში. 1. ვ. კლიმენკო — 9,875 პლუს 9,7 — 19,575, 2. ვ. კარასიოვი (მოსკოვი) — 9,775 პლუს 9,5 — 19,275, 3. ს. დიომიდოვი — 9,8 პლუს 9,45 — 19,25.

ტაიტი. 1. კლიმენკო — 9,85 პლუს 9,8 — 19,65, 2. დიომიდოვი — 9,8, პლუს 9,75 — 19,55, 3. ლისიცკი — 9,625 პლუს 9,6 — 19,225.

რგოლები. 1-2. დიომიდოვი და ლისიცკი — 9,75 პლუს 9,65 — 19,4, 3. ილინხი — 9,7 პლუს 9,65 — 19,35.

ბჯენითი ხტომები. 1. კლიმენკო — 9,8 პლუს 9,575 — 19,375, 2. დიომიდოვი — 9,725 პლუს 9,5 — 19,225, 3. ლისიცკი — 9,6 პლუს 9,275 — 18,875.

ორძელი. 1. დიომიდოვი — 9,85 პლუს 9,7 — 19,55, 2. კლიმენკო — 9,825 პლუს 9,6 — 19,425, 3. ლისიცკი — 9,725 პლუს 9,55 — 19,275.

ღერძი. 1. ილინხი — 9,775 პლუს 9,75 — 19,525, 2. დიომიდოვი — 9,675 პლუს 9,65 — 19,325, 3. კლიმენკო და ვ. კუცი (უკრაინა) — 9,625 პლუს 9,6 — 19,225.

* * *

საკავშირო პირველობის პირადგუნდური შეჯიბრება დაამთავრეს ტანმოვარჯიშე ქალბატონებმაც. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ლენინსკუზნეცკის წარმომადგენელმა ვ. ფოგელმა — 114,2 ქულა. ბრინჯაოს მცირე მედლები დაისაკუთრეს თბილისელმა ა. ნოზაძემ და მოსკოველმა ე. ანანსკიხმა. თვითეულმა 112,55 ქულა მოაგროვა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელმა სპორტსმენებმა.

გუშინ ჩატარდა ქალბატონთა ასპარეზობა ცალკეულ იარაღებზე. აი, ამ შეჯიბრების ლაურეატები: ანანსკიხი (ტაიტი), ნოზაძე (რგოლები), ფოგელი (ბჯენითი ხტომები), ა. ტრიფონოვი (ღერძი). ორძელზე პირველობა გაიყვეს ნოზაძემ და ანანსკიხმა, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში — ს. სუპრუნოვმა და ფოგელმა.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ

თბილისის არმიელთა კლუბის სტადიონზე გუშინწინ დაიწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა რეგბში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, კიევის, ერევნისა და თბილისის კოლექტივები.

გათამაშების პირველმა დღემ წარმატება მოუტანა თბილისელ რეგბისტებს. მათი უპირატესობა ერევნელ თანაკლუბელებთან მატჩში უდავო იყო — 20:0.

დაძაბული ბრძოლა მოსკოვისა და კიევის გუნდებს შორის დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 11:6.

გუშინ გათამაშება გრძელდებოდა. დასკვნითი მატჩები გაიმართება 29 ივლისს. ამ დღეს დილის 10 საათზე ასკ-ს სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან ერევნისა და კიევის გუნდები. ამავე დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 18 საათსა და 30 წუთზე ითამაშებენ „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ...

◆ **რიგა** 27 ივლისი. გუშინ აქ გაიმართა სსრ კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ოლიმპიური გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. მსოფლიოს უძლიერეს კოლექტივთა ასპარეზობამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. თამაში მასპინძელთა ხრული უპირატესობით წარიმართა და 55 წუთში ყველაფერი მოთავებული იყო — 3:0 (15:10, 15:6, 15:4).

◆ **იბსი** (ავსტრია), 27 ივლისი. მსოფლიოს სტუდენტ მოჭადრაკეთა ოლიმპიადის მთავარ ტურნირში დამთავრდა გადადებული პარტიები. წინა ღღეთ დაუმთავრებელი VII ტურის მატჩში სსრ კავშირისა და გფრ-ის წარმომადგენლებმა ფრეს მიაღწიეს — 2:2. ასეთივე შედეგებით აღინიშნა ჩეხოსლოვაკია — რუმინეთისა და იუგოსლავია — აშშ-ს მატჩები. ბოლო 2 ტურის წინ მოწინავე ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: სსრ კავშირი — 19,5 ქულა, გფრ — 18, ჩეხოსლოვაკია — 17.

◆ **ამსტერდამი**, 27 ივლისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IX ტურში ცენტრალური შეხვედრა ბრონშტეინ (სსრ კავშირი) — იგოისა (იუგოსლავია) იყო. იგი ყაიმით დამთავრდა. მოწინავე ჯგუფში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა: კავალეკი (ჩეხოსლოვაკია) და ივანოვი 6-6 ქულა აქვთ, ოღონდ ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატს დაუმთავრებელი პარტია დარჩა ჰოლანდიელ იონკმასთან. ბრონშტეინს 5,5 ქულა აქვს, მეორე საბჭოთა დიდოსტატს შამკოვიჩს — 5 და 1 გადადებული პარტია ჰოლანდიელ ზიუიდემასთან.

ᲠᲘᲪᲐ ᲙᲐᲜᲭᲘᲡᲬᲠᲐᲚᲘ ᲔᲜᲫᲜᲔᲜ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მოსკოვი, 26 ივლისი. რბოლა მეწყვილე და დაძაბული ბრძოლა ... მესაჭიანმა ოთხიანებმა ერთ წრეზე ცდაში მოიყარეს თავი. სსრ კავშირის ნაკრებმა ვ. ივსეევის მეთაურობით პირველობე დღეს მთელი ძალით გააჩაღა შეჯიბრება და მეტოქის აზარტულ იერიშებს იგერიებდა. ოთხი ნავი თითქმის ერთდროულად მიადგა ფინიშს. საბჭოთა ნაკრები მაინც პირველი იყო მაღალი შედეგით — 6.25,6. მას მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა კიევის „ავანგარდი“, 0,4 წამით — სამხედროსაზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის ახალი ოთხიანი. ხოდოროვის მეთაურობით და 0,8 წამით — კიევის „ბურევესტნიკი“.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში დღეს მოსკოვში გასწარილი საკავშირო ჩემპიონატის წინა დღეთ გაიმართა კენჭისყრა პირველი გაცურვის მონაწილეთა დასადგენად. და აი, მან ისე ვერაგულად გადაწყვიტა“ საკითხი, რომ შემდეგი გაცურვებისთვის ფავორიტები თავად განთესეა.

ჩემპიონატი ამჯერად უჩვეულო პრინციპით ტარდება: როგორც კლასიკური ველოშეჯიბრება — მონაწილეთა გამოთიშვით. პირველ დღეს ყოველ ცდაზე ბოლო, მეოთხე ნავი ტურნირს ეთიშებოდა და სამი გადიოდა ნახევარფინალში. ნახევარფინალში სამიდან უკვე ორი ნავი მიიღებს ფინალურ ბრძოლაში მონაწილეობას.

ჩემპიონატი სერებრიანი ბორის რაიონში ტარდება, მდინარე მოსკოვის ტოტზე, სადაც 4 ბილიკია მოწყობილი.

ბუნებრივია, შეჯიბრებას ტონი მისცეს სსრ კავშირის ნაკრების ნიჩბოსნებმა, რომლებიც ოლიმპიადისთვის ემზადებიან. ისინი დღესაც წინ იცვნენ, მაგრამ ბოლო რბოლაში „ფალგირისის“ ახალგაზრდულმა გუნდმა ერთი მეათედი წამი მოუგო საბჭოთა ნაკრების რვიანს და ფინიშთან 5 წუთისა და 51 წამის შემდეგ მივიდა.

ერთადგილიანებით შეჯიბრების პირველი ცდა მოიგო ვ. მელნიკო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს უძლიერესნი

ქალები

ცენტრალური თავდამსხმელები

1. ციალა ჯანელიძე	1939	181	სპი
2. ალექსანდრა რუსკინა	1941	190	სპი
3. გულნარა სანაძე	1945	176	სპი
4. ვენერა მჭედლიძე	1947	180	სპი

თავდამსხმელები

1. შედია სურგულაძე	1944	180	სპი
2. ნინო გამყრელიძე	1945	168	სპი
3. ია ახრახაძე	1945	175	თსუ
4. ნელი დურმიშიძე	1944	165	სპი

მცველები

1. ლიანა ქველიძე	1939	177	სპი
2. გოჩარ გრიგორიანი	1934	164	სპი
3. ეანა არუთინოვა	1946	168	სპი
4. ნელი ჯაფარიძე	1939	175	სპი

ვაჟები

ცენტრალური თავდამსხმელები

1. ანზორ ლეფავა	1939	209	„დინამო“
2. სერგეი კოვალენკო	1947	216	სპი
3. ამირან სხიერელი	1941	200	„დინამო“
4. სერგო მალალაშვილი	1938	205	„დინამო“
5. ბონდო ბოლქვაძე	1944	205	„დინამო“

თავდამსხმელები

1. ვალერი ალთაბაევი	1940	196	„დინამო“
2. ვლადიმერ უგრეხელიძე	1939	192	„დინამო“
3. მიხეილ ქორქია	1948	196	„დინამო“
4. ლევან მოსაშვილი	1940	196	„დინამო“
5. ილია ლეფავა	1941	198	სპი
6. რამაზ მანაგაძე	1942	194	სპი
7. გიორგი ჯუღელი	1941	192	სპი
8. ზურაბ ქარაბაკი	1948	194	„დინამო“
9. ანზორ საკანდელიძე	1940	185	სპი
10. გივი ბოჭიაშვილი	1947	200	„დინამო“

მცველები

1. ზურაბ საკანდელიძე	1945	187	„დინამო“
2. გურამ მინაშვილი	1936	186	„დინამო“
3. ვალერი ლომაძე	1938	181	სპი
4. ალექსანდრე გლურჯიძე	1940	182	სპი
5. ანტონ კაზანჯიანი	1940	189	„დინამო“
6. ლევან ჩხეიძე	1948	188	სპი
7. ვაჟა ნარიმანიძე	1945	178	„დინამო“
8. რევაზ მაჩალაძე	1946	193	„დინამო“
9. ზურაბ ლეონტიევი	1947	186	„დინამო“
10. თეიმურაზ ჩიხლაძე	1949	186	„დინამო“

* * *

საქართველოს უძლიერეს კალათბურთელთა სია პირველად წლეულს ქვეყნდება. იგი შედგენა რეპუბლიკის კალათბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ 1967 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

სპორტულ თამაშებში ანალოგიური სიების შედგენისას ორ მეთოდს მიმართავენ: ფეხბურთში, ჰოკეიში, ფრენბურთსა და ხელბურთში სპეციალისტთა შეფასებებით ხელმძღვანელობენ, კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ კი წლევანდელ სიებს საფუძვლად დაუდო ტექნიკური ოქმების რიცხობრივი მონაცემები. ამ მეთოდმა თავის დროზე სპეციალისტთა სამართლიანი კრიტიკა გამოწვია. გაიხსენეთ, თუნდაც, კალათბურთის მიმომხილველის ა. პინჩუკის წერილი გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ (ა. წ. 23 მაისი).

საქართველოს უძლიერეს კალათბურთელთა სიების შედგენისას ჩვენ ვიხელმძღვანელეთ სპეციალისტთა შეფასებების მეთოდით. ცხადია, არც ეს მეთოდია მთლად უშეცდომო, მით უმეტეს, რომ ჩვენი ფედერაცია მას პირველად მიმართავს. შემდგომში სიების შედგენისას ფედერაცია სპეციალისტთა უფრო ფართო წრეს მოიზიდავს.

ა. ჭარეთელი,
კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ცეცხლის ხაზზე

ტარიელ ქღენტის ოქრო

მოსკოვი, 26 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მესტენდურელთა X საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც რსფსრ-ს სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სტენდზე დაიწყო, პირველივე დღეს დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის მონკავშირის გუნდის წევრმა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ტარიელ ქღენტმა: მრგვალ სტენდზე პირველ აცდენამდე სროლაში მან პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. ქღენტმა უმთავრესად ა. კაპლუნთან შეჯიბრებაში 82 სამიზნე გატეხა, კაპლუნმა კი ბრძოლა ერთი სამიზნით ადრე შეწყვიტა. ბრინჯაო წილად ხვდა ლ. ხმაგინს — 59 ქულა.

ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაშიც საქართველოს მონკავშირის სპორტსმენებმა ისახელეს თავი — 110 ქულა.

ადგილიდან სროლა მოიგო ვ. ზიმენკომ (ლვოვი). მან უშეცდომოდ ესროლა 48 სამიზნეს და 4 ქულა მოუგო ვ. რაზიდოვს, რომელსაც ამდენივეთი ჩამორჩა ი. ვიელენსკი. აქ გუნდური პირველობა წილად ხვდათ „კარატის“ მესტენდურელებს — 50.

... ბრძოლაში ჩაებნენ ქალები. ადგილიდან სროლაში ისინი პირველად 50-50 სამიზნეს იღებდნენ, მეორე დღეს — ამდენივეს. თავიდან დაწინაურდა მოსკოველი გ. ხომუტოვა („ლოკომოტივი“), რომელმაც მხოლოდ ოთხ სამიზნეს დააცილა. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩებოდა სსრ კავშირის ეკონომიკის ჩემპიონი ვ. გერასიმენა (მოსკოვი) — 45 ქულა.



ტ. ქღენტი

მეორე დღეს ლიდერთა მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ხომუტოვამ ბოლო სერიაში მხოლოდ 17 სამიზნე გატეხა, საბოლოოდ 83 ქულა მოაგროვა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. გერასიმენამ შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული — 89 ქულა დააგროვა.

ვერცხლის მედალი დაისაკუთრა თბილისელმა სპორტსმენმა, გაზეთ „ასალგაზრდა კომუნისტის“ ლიტმუშაკმა ე. მელიქიშვილმა. მან 1 ქულით აჯობა ხომუტოვას.

შეჯიბრება გრძელდება.

ჯ. ბოწოველიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შოთა ქველიაშვილი მეხიკოს უმიზნებს

კიევი, 27 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ტყვიის მსროლელთა წლევანდელი ჩემპიონატი სიურპრიზით დაიწყო: ამ სახეობის 45 წლის ისტორიაში დინამოელებმა პირველად ვერ შეძლეს გუნდის გამოყვანა, რამაც გარდამავალი პრიზისთვის ბრძოლაში გზა სხვა მეტოქეებს გაუხსნა.

პირველად ცეცხლის ხაზზე მცირეკალიბრიანი შაშხანით მოასპარეზენი გავიდნენ. გაიმარჯვა ვ. კორნეევმა (სამხელეთო ჯარები), რომელმაც წოლილა 60 გასროლით 599 ქულა მოაგროვა და გაიმეორა შარშანწინ თანაგუნდელ ვ. პარხომოვიჩის მიერ დამყარებული საკავშირო რეკორდი.

რვეულოვერთი შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე 25 მეტრიდან სროლაში კარგად იასპარეზა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ჟამურაშვილმა („ბურევესტნიკი“). შავ სამიზნეებზე სროლის შემდეგ მას 293 ქულა ჰქონდა და V ადგილზე იყო, სილუეტებზე სროლაში კი 297 ქულა მოაგროვა და კომპლექსში 590 ქულით ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. იგი 1 ქულით ჩამორჩა ნ. კოსიცას („დინამო“).

ქალებში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ეს ვარჯიში ე. სემენენკომ („დინამო“) მოიგო — 590.

საინტერესო იყო ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა. როცა მსაჯთა კოლეგიამ შედეგები შეაჯამა, გამოირკვა, რომ ვ. კორნეევი (პირადი) და ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, თბილისელ სპორტის დამსახურებულ ოსტატ შ. ქველიაშვილს ქულათა ერთნაირი ჯამი დაეგროვებინათ — 1150 თვითეულს. მაგრამ მეტი „ათიანის“ წყალობით ჩემპიონობა თბილისელს დარჩა.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლაში რ. მადისმა სსრ კავშირის რეკორდი გაიმეორა — 589.

ე. ვოლკოვი.

შ. ქველიაშვილი

ასანთის უუქგე

მონაწილეთა სიმცირე, უკმარი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება — აი, რა გამოავლინა ჭაბუკ ველოსიპედისტთა საქალაქო პირადგუნდურმა შეჯიბრებამ, რომელიც თბილისის ტრეკზე სამ დღეს გრძელდებოდა.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა გოგონათა გუნდებში: ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში მხოლოდ 4 ველოსიპედისტი მონაწილეობდა, ეფიქრობ, კომენტარს არ საჭიროებს. ამას ისიც დაერთო, რომ ტრეკი მოუმზადებელი და, რაც მთავარია, გაუნათებელი იყო. სწორედ ამიტომ მსაჯთა კოლეგიას წამმზომების შემოწმება ასანთის შუქზე უხდებოდა.

და მაინც, შეჯიბრებამ რამდენიმე ნიჭიერი ველოსიპედისტი გამოავლინა, რომელთაგან ქებას იმსახურებენ გ. ქადაგიშვილი (მწვრთნელი ო. დადუნაშვილი) და პ. ჩუტკერაშვილი (მწვრთნელი ო. აჯიაშვილი). ქადაგიშვილმა I ადგილი დაისაკუთრა ხუთ სახეობაში, ხოლო 500 მეტრზე ადგილიდან გიტში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, თანაც უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 35,5. მას არც ჩუტკერაშვილი ჩამორჩა, რომელიც პირველი იყო ოთხ დისტანციაზე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა“ (ერთადერთმა მან გამოიყვანა მთლიანი გუნდი). „დინამომ“, „სპარტაკმა“ და „შრომითმა რეზერვებმა“ ვერ შეძლეს სრული გუნდების გამოყვანა.

ი. იუნაევი.

აბაშა

„კოლმეურნის“ რაიონულმა საბჭომ მოაწყო ველოსიპედისტთა შეჯიბრება, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი დაისაკუთრეს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა. ისინი უძლიერესნი იყვნენ ყველა დისტანციაზე. კარგი მომზადება გამოავლინეს ა. ცანავამ, თ. მინდაძემ, რ. მიმინოშვილმა, კ. მიგინეიშვილმა.

რ. ჭანტურია.

მარტო ნიჭი არ კმარა

ახმეტის რაიონულ სტადიონზე იმ დღეებში დიდი ხალხმრავლობა იყო, ახალგაზრდობის ერიამული იდგა. შიმდინარეობდა რაიონული სპარტაკიადა. ჩემპიონის სახელს ბევრი ახალგაზრდა ეცილებოდა ერთმანეთს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ახალრეზობას ტონი თავდადვე ალვანელმა ახალგაზრდებმა მისცეს. ქვემო ალვანის მეცხვარეობის საცდელ-სანაკენებელი საბჭოთა მეურნეობის ოლექტივმა (დირექტორი კ. ჯამრულიძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი უ. ნაკუდაძე) პროგრამის პირველივე სახეობიდან ხელთ იგდო ინიციატივა.

— ალვანელებს ვინ გაუძლებს ფეხბურთში და ფრენბურთში, შვილდოსნობაში მათი გუნდი ხომ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს შარშანდელი ჩემპიონია, — ამბობდნენ.

მართლაც, ბევრ სახეობაში ალვანელებმა იმარჯვეს, საპრიზო ადგილები მოიხვეჭეს და რაიონის ჩემპიონები გახდნენ. გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ გარდამავალი პრიზი.

შეიძლებოდა აქ წერტილი დაგეტესა, მეითხველს კეთილი წარმოდგენა რომ დარჩენოდა ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივზე. მაგრამ ეხრობა უნდა გავაგრძელოთ, აქაური სპორტის მოყვარულთა თხოვნა რომ დავაკმაყოფილოთ.

საბჭოთა მეურნეობაში 4200 კაცი მუშაობს. უმრავლესობა 100.000 სული ცხვრის მოვლისთვის დაკავებული, დანარჩენები მსხვილფეხა ხაქონლის ფერმებში, მეღორეობის, მეშინდვრეობის, მეხილეობის დარგში მუშაობენ. მთელს რაიონშია განთქმული ამ საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა სასახელო შრომა. თითქოს არც ფიზკულტურასა და სპორტში აქვთ ცუდად საქმე, რაიონულ პირველობებში მოწინავენი არიან, ბევრი ჯილდოც აქვთ მოხვეჭილი. მაგრამ აქაურობას რომ თვალი გადავავლეთ, მართალი გითხრათ, გაგვიკვირდა ფიზკულტურული კოლექტივის ასეთი წარმატება.

ალვანელმა სპორტის მოყვარულებმა ჩასვლისთანავე შემოგვჩივლეს: ბურთი გვაქვს, მოედანი არაო. მართლაც ასეა. ქვემო ალვანში, რომელიც ამ ვეებერთელა მეურნეობის ცენტრს წარმოადგენს, ვერსად ვნახეთ სპორტული მოედანი. გვითხრეს, კეთილმოწყობილი სტადიონი გვქონდა, ახლა მის ადგილას საბავშვო ბაღი და სოფლის საბჭოს შენობები წამოიმართა. ნათქვამი მართალი გამოდგა. ნეტა ვის მოუვიდა აზრად მოქმედი სტადიონის გაუქმება, თითქოს საბავშვო ბაღისა და საბჭოსთვის სოფელში ადგილი არ მოიძებნებოდა.

სტადიონისთვის კარგა ხანია სოფლიდან საკმაო მანძილით დაშორებული ადგილი გამოუყვიათ, მაგრამ ჯერჯერობით აქ სპორტული ბაზის კონტურებიც არ ჩანს. არც ზამთრის პერიოდში სამეცადინო ბაზის მოწყობაზე უფიქრიათ. რა გულდაწყვეტით ლაპარაკობდნენ სპორტის გულშემატკივრები: კარგი იქნებოდა, მეურნეობის დირექციის წინ კულტურის სასახლე რომ შენდება, იქვე ჰატარა სპორტული დარბაზიც მიეშენებინათო.

საშუალო სკოლის სპორტულ მოედანზე მეგუთეკლასელი ბიჭები სიგრძეზე ხტომაში ვარჯიშობდნენ. ორი-სამი ტანმაღალი მოსწავლე ხუთ მეტრს იქით ხტებოდა. ხტომის ტექნიკას მაინცდამაინც როდი ეყვნენ დაუფლებული, მაგრამ კარგი ფიზიკური მონაცემების წყალობით სპობნიდნენ დანარჩენებს.

განა მხოლოდ ხტომაშია ასე? მარტო ნიჭით ფონს ვერ გადიან და კარგი მომავლის მქონე ბევრი ახალგაზრდა „იკარგება“. მართალია, ზოგიერთმა მათგანმა გაიკვლია გზა, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი გახდა, წარმატება მოიპოვა სხვადასხვა საპასუხისმგებლო ასპარეზობაში, მაგრამ ეს ერთეულებია.

მეურნეობაში 4 ათასზე მეტი კაცი მუშაობს, მაგრამ ფიზკულტურულ კოლექტივს მხოლოდ 400 წევრი ჰყავს. შეიძლება თავი იმით იმართლონ, რომ მეურნეობა უმთავრესად მეცხვარეობას მისდევს. მეცხვარე ზამთარში შირაქშია, ზაფხულში კი მთის ხაძოვრებზე. მაგრამ მეურნეობას ხომ 4 განყოფილება აქვს, თვითეულში 1000 კაცი მუშაობს. ხომ შეიძლებოდა სწორედ განყოფილებებში გაშლილიყო ფიზკულტურული საქმიანობა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოთავე არ ჩანს, ერთი შტატიანი ინსტრუქტორი კი ყველაფერს ვერ აუფარ.

ვუყურებდი ალვანელ ახალგაზრდებს, ტანად, ათლეტური აგებულების ბიჭებს და ვფიქრობდი: ვინ იცის, დიდი სპორტული მომავლის მქონე რამდენი ახალგაზრდაა ასეთ ადგილებში, რა ძალა აკლდება ქართულ სპორტს უყურადღებობის გამო.

„მარტო ნიჭი არ კმარა“, — ვიფიქრე და ამ ფიქრით გულდაწყვეტილმა დავტოვე ნიჭიერი ახალგაზრდებით სავსე, სტუმართმოყვარე სოფელი ქვემო ალვანი.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ახმეტის რაიონი.

III ქვეყანაზეგანვლილი გათამაშების ცხრილი — ლოტარეა

სპორტი

ქალთა გოლების ჯვარედინი

26 ივლისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — ცსკა და „ლოკომოტივი“.

თამაში მოიგეს არმიელებმა — 2:0. გოლები გაიტანეს მასლიაევმა და ფედოტოვმა.

I „ა“ ჯგუფი

ვუცქერ...

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. თბილისის დინამოელებმა მიიღეს როსტოვის არმიელთა გუნდი. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ქუთაისის „ტორპედო“ ერევანში შეხვდა ადგილობრივ „არარატს“. მატჩის შედეგია 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ 2:1, „შახტიორი“ — „დინამო“ (კიევი) 2:3, „ნეფტჩი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1, „კაირატი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:1, „პახტაკორი“ — „ზენიტი“ 5:0, „დინამო“ (ციროვაბადი) — „კრილია სოვეტოვი“ 0:0.

შვეიცარიელ სათამაშოდ

1 აგვისტოს შვეიცის ნაკრებთან ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად საბჭოთა გუნდის მწვრთნელებმა მ. იაკუშინმა, ვ. ცარიოვმა და დელეგაციის ხელმძღვანელმა ან. სტაროსტინმა შეარჩიეს შემდეგი ფეხბურთელები: მეკარეები — პშენიჩნიკოვი (ცსკა) და დეგტიაროვი („შახტიორი“), მცველები — ბასალაევი („ლოკომოტივი“), აფონინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი (ყველა — ცსკა), ხურცილავა (თბილისის „დინამო“), ნახევარმცველები — ლენიოვი (მოსკოვის „ტორპედო“), მუნტიანი („კიევის „დინამო“), იანკინი („სპარტაკი“), თავდამსხმელები — ევრიუჟინინი (მოსკოვის „დინამო“), მარქაროვი („ნეფტჩი“), ბიშოვეცი („კიევის „დინამო“), ბერეზკოვიჩი (მოსკოვის „ტორპედო“) და სხვ.

წილისყრა და მასპინძლები

სსრ კავშირის საფეხბურთო ასოციაციის გათამაშებაში დადგა მეოთხედფინალური ეტაპი. მოიგო წილისყრა, რომელმაც გამოავლინა ამ შეხვედრათა მასპინძლები.

ლუგანსკის „ზარია“ თავის მინდორზე მიიღებს ტაშკენტის „პახტაკორს“, ალმა-ათის „კაირატი“ — ბაქოს „ნეფტჩის“, დონეცკის „შახტიორი“ — კიევის არმიელთა გუნდს და მოსკოვის „ტორპედო“ — სვერდლოვსკის „ურალმაშს“.

„შევარდენმა“ ფრთები გაშალა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის წარმომადგენელთა კალენდარული მატჩის წინ შედგა ფინალური შეხვედრა „ტყავის ბურთის ჰაიზზე“ უფროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „მერცხალი“ (თბილისი) — „შევარდენი“ (ქუთაისი). გაიმარჯვეს სტუმრებმა 2:0.

სსრ კავშირის პირველობა

ოთხი წაგების შემდეგ

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 26 ივლისი.

„დინამო“ (ბათუმი) — „სტროიტელი“ (უფა) 2:0 (1:0).

„დინამო“: კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, ხაბიბულინი, გიორგიადი, ილურიძე, დიმანოვი, ოვანესიანი, რ. გაგუა, მაისურაძე, ვერულიძე (აპრესიანი).

„სტროიტელი“: ლაიკოვი, გალიულინი, კანდინცევი, ფილატოვი, ბისტრაკოვი, პრუსაკოვი, ვეზენშტეინი, სოკოლოვსკი, აქსიონოვი, მაიბოროდა, ტიულიბოვი.

მსაჯი ვ. ორიხი (კრასნოდარი).

დუბლიორები — 1:1.

ბათუმელ გულშემატკივრებს გარკვეული საფუძველი აქვთ უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი გუნდის ბოლო შედეგებით. მართლაც, დინამოელებმა 1 მატჩი წააგეს შინ და შემდეგ კიდევ 3 მარცხი მიაყოლეს სტუმრად. ამ ოთხ შეხვედრაში ბათუმელმა ფეხბურთელებმა სულ 3 ბურთი გაიტანეს და 11 გაუშვეს. ასეთ საგალალო გამოსვლათა შედეგი ისაა, რომ გუნდმა ლიდერთა ჯგუფიდან X ადგილამდე დაიხია.

მაგრამ მატჩი „სტროიტელთან“ ბათუმელმა ფეხბურთელებმა კვლავ კარგად ჩაატარეს. მათი აშკარა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა მთელი თამაშის მსვლელობაში და კვახაძეს ფაქტიურად არც ჰქონია ძნელი მომენტები.

უკვე მე-8 წუთზე მაისურაძემ კარგად გადასცა ბურთი გაგუას და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0.

მასპინძელთა განუწყვეტელი იერიშებით აღინიშნა შეხვედრის შემდგომი მსვლელობაც. ერთ-ერთი შეტევისას გათამაშდა კომბინაცია ოვანესიანი — აპრესიანი — მაისურაძე — გაგუა და სტუმართა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა ბათუმელებს საამისოდ ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ.

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

I „ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	21	12	7	2	30—9	31
„დინამო“ (მახაჩყალა)	21	9	10	2	16—8	28
„ვოლგა“ (გორკი)	20	10	5	5	28—13	25
„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი)	21	8	9	4	23—15	25
„რუბინი“ (ყაზანი)	21	9	7	5	22—14	25
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	21	9	6	6	29—20	24
„დინამო“ (ბათუმი)	21	8	6	7	23—21	22
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	21	8	6	7	19—21	22
„ფოლადი“ (სუმგაითი)	21	7	7	7	17—17	21
„ვოლგარი“ (ასტრახანი)	21	6	8	7	25—25	20
„ზენიტი“ (იჟევსკი)	21	6	8	7	16—19	20
„ტორპედო“ (ტაგანროგი)	21	8	4	9	18—23	20
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	20	6	7	7	21—18	19
„ზვეზდა“ (პერმი)	21	5	9	7	15—23	19
„სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა)	21	5	8	8	15—16	18
„ვოლგა“ (ულიანოვსკი)	20	7	4	9	23—28	18
„თერგი“ (გროზნო)	21	5	7	9	19—24	17
„სტროიტელი“ (უფა)	21	4	9	8	22—28	17
„შირაკი“ (ლენინაკანი)	21	5	7	9	17—28	17
„მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი)	21	5	7	9	16—30	17
„მეშახტე“ (ტყიბული)	21	1	11	9	14—28	13

ეროვნულ — ვეჩერ ფინალში

ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული მოზარდთა მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო ნახევარფინალურ ტურნირში კვლავ წარმატებით გამოვიდა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი). ჩვენმა გუნდმა საუცხოოდ ჩაატარა თავისი უკელა შეხვედრა, დამსახურებულად დაიკავა I ადგილი და მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს ფინალურ შეჯიბრებებში. აღსანიშნავია, რომ თბილისელთა კოლექტივი მეექვსედ მონაწილეობს ფინალში. ასეთი მაჩვენებელი არა აქვს არც ერთ სხვა გუნდს.

ნახევარფინალური შეჯიბრება მიმდინარეობდა დნეპროპეტროვსკის ოლქის ქ. ვოლნოგორადსკში. თბილისელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ალმა-ათის ორანაკლუბელები (2:1), მახაჩყალის „დინამო“ (2:0), დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ (1:0), ხერსონის „ლოკომოტივი“ (4:0) და ფრედ (2:2) ითამაშეს ტაშკენტის „სტარტთან“.

ტურნირის ორგანიზატორთა მიერ დაწესებული პრიზებიდან 2 (საუკეთესო მცველსა და საუკეთესო თავდამსხმელს) ერგო თბილისელ ჭაბუკებს ნ. ჩიტაურსა და თ. მაღრაძეს.

სურათზე: თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი. სხედან (მარცხნიდან): გ. ჭლარკავა, ვ. მალცევი, თ. სტეფანია, მ. ვარდანაშვილი, ზ. შურღაია, მ. ქორიძე, თ. მაღრაძე, ე. წოწორია, ნ. ჩიტაური; დგანან: გუნდის მწვრთნელი ვ. ელოშვილი, თ. ნოზაძე, ლ. ლობჟანიძე, გ. მაჩაიძე, თ. ფირანიშვილი, შ. კობერიძე, ვ. ტოგონიძე, დ. ჭანიაშვილი.

ფოტო და ტექსტი ი. იუნაევისა.

ერთი ფოტოსურათი ჩვენ ალბომიდან



სურათზე: 1936 წლის სექტემბერი. შეხვედრა თბილისის რკინიგზის სადგურში. შოთა შავგულიძე (მარცხნივ) და ბორის პაიჭაძე.

32 წლის წინ...

სურათი, რომელსაც თქვენ ხედავთ, ძველია, ძალზე ძველი. იგი 32 წლის წინ გადაიღო თბილისის რკინიგზის სადგურზე უცნობმა ფოტოგრაფმა.

მათთვის, ვისაც უყვარს ჩვენი ფეხბურთი, ვინც ყურადღებით აღეკვნებს თვალს მის ისტორიას, ვფიქრობ, უინტერესო არ უნდა იყოს ეს სურათი.

საქმე შემდეგშია. როგორც მოგეხსენებათ, 1936 წლამდე საკავშირო პირველობები ფეხბურთში ტარდებოდა რამდენიმე ქალაქის ნაკრებ გუნდებს შორის. რა თქმა უნდა, შეჯიბრების ორგანიზაციის ასეთი პრინციპი დიდი სარგებლის მიღმა ტოვებდა არა მარტო მრავალ ნიჭიერ, პერსპექტიულ ფეხბურთელს, არამედ ბევრ საკლუბო გუნდსაც.

ამიტომ მიღებულ იქნა დადგენილება საკავშირო ჩემპიონატები ჩატარებულიყო ახალი პრინციპით — საკლუბო გუნდებს შორის, ფეხბურთელთა დიდი მასების მონაწილეობით.

თბილისის „დინამო“ მაშინ მოხვდა „ბ“ ჯგუფში. პირველი მატჩი მას ჰქონდა მოსკოვის „სტალინეცთან“, რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1. მეორე თამაშისთვის მე, მაშინდელი ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი, გადამიყვანეს თბილისის „დინამოში“. ჩვენმა გუნდმა ყველა დარჩენილი თამაში მოიგო და 1936 წლის საშემოდგომო გათამაშებაში თბილისის „დინამო“ უკვე უმაღლესი ლიგის მონაწილე იყო (იმ წელიწადს ჩემპიონატი ფეხბურთში ორჯერ ჩატარდა — გაზაფხულზე და შემოდგომით).

ახლაც, 32 წლის შემდეგ, ნათლად მახსოვს, თუ როგორ გაუშვა ხელიდან თბილისის „დინამომ“ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება საკუთარ მინდორზე ლენინგრადის „კრასნაია ზარიასთან“ დამარცხებით. კოკისპირულად წვიმდა. ჩვენ გაცილებით უფრო სუსტად ვითამაშეთ, ვიდრე შეგვეძლო და წავაგეთ — 2:3. ამით I ადგილზე გასვლის საშუალება მივეცით მოსკოვის „სპარტაკს“ და ბურთების უარესი შეფარდების გამო II ადგილზე გავუშვით მოსკოვის „დინამო“.

1936 წლის სექტემბერში ძალიან საინტერესო თამაში გვქონდა მოსკოვში, დედაქალაქის „დინამოსთან“. მაშინდელი მოსკოვის „დინამო“ უმაღლესი კლასის ბრწყინვალე ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული (ნუ იწყინება ნურავის, თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი მოსკოვის „დინამო“ მაშინდელის აჩრდილიც არაა). და, საერთოდ, თქვენც კარგად იცით, რა როლი მიუძღვის ამ გუნდს საბჭოთა ფეხბურთის განვითარებაში.

ამ მატჩში ანგარიშის გახსნა მე მომიწია, მაგრამ ბოლო წუთებზე მიხეილ იაკუშინმა შემლო საპასუხო გოლის გატანა და გადაარჩინა თავისი გუნდი — 1:1.

უინტერესო არ იქნება, თუ წარმოვიდგენთ ამ მატჩის მონაწილეთა შემადგენლობებს: მოსკოვი — სოკოლოვი, კოროტკოვი, კორჩებოკოვი, რიბინი, ელისეევი, ლაშინი, სემიჩასტნი, იაკუშინი, სპირნოვი, პონომარიოვი, ილინი; თბილისი — დოროხოვი, შავგულიძე, მინაევი, ნიკოლაიშვილი, ანიკინი, ჯორბენაძე, პანინი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ვ. ბერძენიშვილი, სომოვი. მსაჯობდა ლენინგრადელი ეედოკიმოვი.

შინ გამოვემგზავრეთ მატარებლით (იგი მაშინ ბაქოს გავლით მოდიოდა თბილისში). თბილისის სადგურზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი და ჩვენ ვიფიქრეთ, რომ რომელიმე დელეგაცია ჩამოდიოდა. ჩვენს გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შევიტყვეთ, რომ ეს ხალხი გულშემატკივრები ყოფილან და თბილისის დინამოელთა შესახვედრად შეეყარათ თავი ვოგზალზე.

მოეწყო იმპროვიზებული მიტინგი, გულთბილი მისალმებანი... სატყვით გამოვიდა ჩვენი შეუდარებელი კაპიტანი შოთა შავგულიძე.

აი, ესაა სულ. ეს პატარა მოგონება გამოიწვია 32 წლის წინათ გადაღებულმა ფერგადასულმა სურათმა.

ბ. პაიჭაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ცხოვრებაში არის წუთები, რომელთა დავიწყება არ შეიძლება. ანდრო ცხოვრებოვმა და როზა ბეგოევამ საშუალო მეგობრობა შეჰფიცეს ერთმანეთს და ახლა, ამ საზეიმო მომენტის აღსანიშნავად მილოცვებს იღებენ.

ახალდაქორწინებულთა სიხარულს იზიარებს ყველა: ახლობლები, ნათესავები, მეგობრები. უსაზღვროდაა გახარებული ანდროს მწვრთნელი და ჭკუის დამრიგებელი ილია ჩხარტიშვილი, რომელიც თავის მოწაფეს ღვიძლი შვილივით უვლიდა და თავს დასტრიალებდა წლების მანძილზე. ანდრო დღეს ბედნიერია, ანდრო გრძნობს, რომ ამ ბედნიერებაში მას მხარს უმშვენებენ უფროსი ამხანაგები, სახელოვანი წინამორბედები, რომელთა მაგალითზე იწრთობოდა და ვაჟკაცდებოდა მომავალი ჩემპიონი.

სურათზე: ახალდაქორწინებულთ — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს როზა ბეგოევას და ევროპის ჩემპიონს ანდრო ცხოვრებოვს საქორწილო თაიგულს გადასცემს მწვრთნელი ილია ჩხარტიშვილი. აქვე არიან ანდროს უფროსი მეგობრები, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე და გიორგი სხირტლაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ჯავა.

▲ **ᲯᲐᲜᲝᲕᲔᲠᲨᲘ** ჩატარდა გფრ-ისა და უნგრეთის მძლეოსანთა ოლიმპიური გუნდების შეჯიბრება, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს — 132:80. ბირთვი 19 მეტრს იქით ჰკრა სამმა ათლეტმა: ბირლენბახმა — 19,76, გლიოკერმა (ორივე — გფრ) — 19,20, კარიუმ (უნგრეთი) — 19,11. ქვოციკიმ (უნგრეთი) მოიგო ურიოს ტყორცნა — 71,62, კულჩარმა (უნგრეთი) — შუბისა — 82,40. ბადროს ტყორცნაში იმარჯვა ნოიმ (გფრ) — 61,14.

▲ **ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡᲐ** და იუგოსლავიის ოლიმპიელ მძლეოსანთა ბატჩი პლზენში მოეწყო. აქაც მასპინძლებმა იმარჯვეს — 133:78. დანიელმა ბადრო 61,78 მეტრზე ტყორცნა, მილეკი და ალექსი 212 სმ სიმაღლეზე გადასტდნენ. ესტაფეტა 4×100 მეტრზე ჩეხოსლოვაკიელმა ვაჟებმა მოიგეს — 39,7. 400 მეტრზე რბენაში ვერა ნიკოლიჩმა იუგოსლავიის ახალი რეკორდი დაამყარა — 53,8 წამი.

▲ **ᲙᲘᲝᲚᲝᲜᲨᲘ** მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში 8 ეროვნული რეკორდი გაუჭიმბეს: 1500 მ რბენა. ტიუშლერი (გფრ) — 3.36,5 (ხეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში), დე ჰერტოგი (ბელგია) — 3.37,1 და ქალთა ესტაფეტა 4×100 მ — ჰოლანდია — 45,1. ბადროს ტყორცნაში მსოფლიოს რეკორდსმენმა ვესტერმანმა (გფრ — 56,22) წააგო რუმინელ მანოლიუსთან — 56,97.

▲ **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚ** მძლეოსანთა ოლიმპიური გუნდის მორიგ შეკრებაზე, ჩატარებულ შეჯიბრებაში, რომელიც ლონდონში გაიმართა, ჰემერლემ თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა 440 იარდზე თარჯრბენში — 50,2 წამი. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი დევისი 793 სმ სიგრძეზე გადახტა.

▲ **ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘᲡ** საერთაშორისო მარათონი ცურვაში მოიგო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდის წევრმა სხალიმ. 16 კმ მან 5 საათსა და 37 წამში გაცურა. მეორე იყო ბულგარელი ლაზაროვი — 5:53.29, მესამე — თურქი ათესი — 6:16.05. ვაჟებში ეს დისტანცია ყველაზე ადრე გაცურა ერდალმა (თურქეთი) — 4:23.26. მან 9 წუთითა და 19 წამით აჯობა აბდულრაჰინს (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნგრელი მოცურავეებიც.

▲ **ᲐᲚᲘᲔᲒᲨᲘ** ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲗᲝᲛᲒᲝᲗᲘᲚᲐᲛᲞᲠᲔᲛᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲣᲠ ᲡᲚᲐᲚᲝᲛᲨᲘ. ᲥᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲡᲢᲘᲠᲝᲠᲔᲠᲛᲐ, ᲕᲐᲟᲔᲑᲨᲘ — ᲠᲣᲡᲔᲚᲛᲐ.

იქნებ შაში?

ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე თითქმის არაფერი ვიცით. სწორედ ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს ცნობილი ქართველი არქეოლოგის ნინო ხოშტარიას გათხრები დაბა ვანის ტერიტორიაზე, სადაც, როგორც გამოირკვა, 2500 წლის წინათ მდიდარი და ხალხმრავალი ქალაქი არსებობდა. ეს შესანიშნავი ქალაქი რომაელთა ლეგიონერებმა ააოხრეს პომპეუსის წინამძღოლობით ძვ. წ. I საუკუნის შუა წლებში. გათხრების შედეგად ჩვენი წინაპრების ცხოვრებაზე ბევრი ყურადღებიანი მასალა დაგროვდა. მათ შორის არის ცნობები შაშის თამაშზე.

ვანის ნაქალაქარზე სხვადასხვა დროის ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის სადანგებოდ მომრგვალებული წითელი, შავი და ყავისფერი პატარა ნატეხები. მათი დანიშნულების გარკვევა დიდხანს არ ხერხდებოდა.

სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს, რომ მსგავსი ნატეხები ბერძნულ ქალაქებშიც (ძვ. წ. VIII ს.) იყო აღმოჩენილი. ერთ-ერთ მეცნიერულ ნაშრომში ანალოგიური საგნები ძვ. წ. II-I საუკუნეებითაა დათარიღებული. მკვლევართა აზრით, ეს ნატეხები ბერძნულ ხალხურ თამაშთან — ოსტრაკინდასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ოსტრაკინდა სულ მარტივი თამაში იყო. მონაწილენი არჩევან-არადანის წესით ორ ბანაკად იყოფოდნენ. ნატეხს ჰაერში ააგდებდნენ და მოთამაშეები, რომლებიც დათქმულ მხარეს გამოიცნობდნენ, მეტოქეებს უნდა დაეჭირათ.

ანალოგიური თამაში დაწვრილებით აქვს აღწერილი ინგლისელ მეცნიერს სტრუტს თავის ცნობილ ენციკლოპედიაში. იგი მდამოითთა სულიერ თამაშს უწოდებს მას, რაშიც ვერ დავეთანხმებით. ეს თამაში გამძლეობის, რეაქციისა და სისწრაფის გამომუშავებას უწყობდა ხელს, ისევე, როგორც ყველა ხალხური თამაშობა.

ვანში აღმოჩენილი თიხის ნატეხები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ოსტრაკინდას მსგავსი თამაში ჩვენშიც ყოფილა გავრცელებული. იქნებ ამ ნატეხებს სხვა დანიშნულებაც ჰქონდა?

საქმე ისაა, რომ 1961 წელს ვანის ნაქალაქარზე, ძვ. წ. II-I საუკუნეთა ფენაში აღმოჩნდა თიხის 3 სმ სისქის ფიცის ნატეხი (სურ. ა), რომლის გლუვ ზედაპირზე ამოკაწრულია ოთხკუთხა უჯრედები (2,5×2,5 სმ). ამავე ფენაში ნაპოვნია 2 სმ სისქის დისკოთიხის ჭურჭლის ნატეხებისგან გაკეთებული (სურ. ბ). დისკოს ცალ მხარეს ხაზები აქვს გავლებული, მეორე წითელი საღებავითაა დაფარული. არ არის გამორიცხული, რომ ეს ნატეხები შაშის მსგავსი სათამაშოს ნაწილს წარმოადგენენ.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ძველ საქართველოში, კერძოდ, კოლხეთში, გავრცელებული იყო შაშის მსგავსი თამაში.

გ. ლორთქიფანიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



ᲑᲝᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲝᲩᲘᲡ ᲨᲐᲰᲛᲐᲢᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲯᲐᲛᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

ᲩᲔᲠᲩᲘᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲔᲡ ᲣᲙᲐᲠᲘᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲑᲐ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲨᲝᲗ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ